ლაშა ქოჩიაშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	7
დანინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	7
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	8
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	9
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	12

1999-2005 წლებში კანდიდატი ლაშა ქოჩიაშვილი მუშაობდა თერჯოლის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ, ხოლო 2005-2007 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწე. 2007 წელს ლაშა ქოჩიაშვილი დაინიშნა საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ. 2010-2017 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. 2017 წლის 25 მაისიდან კი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 3 წლის ვადითაა განწესებული.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გახმაურებული საქმეები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის, მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის სახელი არაერთ გახმაურებულ საქმეს უკავშირდება. მათ შორის, მნიშვნელოვანია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საქმე. აღნიშნული საქმე მოხვდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 2015 წლის მიმოხილვაში.[1] ეს და ლაშა ქოჩიაშვილის მიერ განხილული კიდევ ერთი საქმე არის წარმოდგენილი ამავე ორგანიზაციის – მომზადებულ 2018 წლის კვლევაში „კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში“.[2]

ზემოაღნიშნული მიმოხილვისა და კვლევის მიხედვით ირკვევა შემდეგი:

ფაქტები: რუსთავის მეტალურგიული ქარხანა 2005-2008 წლებში ბადრი პატარკაციშვილის კორპორაცია „ქართულ ფოლადს“ ეკუთვნოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, 2008 წლის თებერვალში, სს „ქართული ფოლადის“ 100%-იანი წილი ჯოზეფ ქეის მფლობელობაში მოექცა.

2008 წელს პატარკაციშვილების ოჯახმა საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოში (ICC) საერთაშორისო საარბიტრაჟო დავა წამოიწყო საქართველოს სახელმწიფოს წინაღმდეგ კომპენსაციის მოთხოვნით. დავის ფარგლებში, 2011 წლის 6 ივლისს მხარეებს შორის დაიდო მორიგების შესახებ შეთანხმება. შეთანხმების თანახმად, სახელმწიფო იღებდა ვალდებულებას, ოჯახისთვის დაებრუნებინა რამდენიმე მილიონის ღირებულების ჩამორთმეული ქონება, ხოლო სანაცვლოდ მათ უნდა შეეწყვიტათ სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული დავა.

2011 წელს, საარბიტრაჟო მორიგების გაფორმების შემდეგ, სახელმწიფომ დაიწყო წართმეული აქტივების პატარკაციშვილების ოჯახისთვის დაბრუნების პროცესი. 2011 წლის 7 ივლისს, „ქართული ფოლადის“ აქციონერთა გადაწყვეტილებით, შეიცვალა კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭო და დაინიშნა ახალი დირექტორი.

2011 წლის 30 სექტემბერს სს „ქართული ფოლადის“ ახალმა მენეჯმენტმა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა მოითხოვაკრედიტორთა წინაშე არსებული 82 მილიონ ლარზე მეტი დავალიანების არსებობის გამო.. შედეგად, 2011 წლის 21 დეკემბერს კრედიტორებმა დაამტკიცეს სს „ქართული ფოლადის“ რეაბილიტაციის გეგმა. რეაბილიტაციის გეგმის ფარგლებში, 2011 წლის 27 დეკემბერს სს „ქართული ფოლადის“ საკუთრებაში არსებული აქტივები – მეტალურგიული ქარხანა (მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებო-

---

1 **„რა ხდება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში – მიმოხილვა“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. ხელმისაწვდომია –**

2 **„კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, თბილისი, 2018. ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2mdYwH7 [უკანასკნელად შემოწმდა – 16.09.2019].**

ბები და მოძრავი ქონება) ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა შპს „რუსთავის ფოლადს“ (ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის კომპანია). ამასთანა, ჯერ „რუსთავის ინდუსტრიულ ჯგუფზე“ (ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის კომპანია), ხოლო შემდეგ შპს „რუსთავის ფოლადზე“ გასხვისდა სს „ქართული ფოლადის“ საკუთრებაში არსებული ნაყარი წიდა და ნაცარი.

2013 წელს (მას შემდეგ, რაც ჯოზეფ ქეისთან დაკავშირებული ჯგუფები სავარაუდოდ კვლავ აღიდგენენ კონტროლს ს.ს. ქართულ ფოლადზე) იწყება სამართლებრივი დავები პატარკაციშვილების კუთვნილი კომპანიების წინააღმდეგ. დავების მიზანი იყო:

- სს „ქართული ფოლადის“ აქტივების გასხვისების ბათილად ცნობა და მეტალურგიული ქარხნის კვლავ ამ კორპორაციის საკუთრებაში მოქცევა.

2013 წლიდან, ჯამში ასეთი სამი სამართლებრივი დავა მიმდინარეობდა. შპს „რუსთავის ფოლადმა“ პირველ ინსტანციაში სამივე დავა წააგო. **სამივე დავას კანდიდატი, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ლაშა ქოჩიაშვილი იხილავდა.**

2013 და 2014 წლებში წარმოებულ ორ დავაში მოსარჩელე აპელირებდა:

- რეაბილიტაციის მმართველი და სს „ქართული ფოლადის“ დირექტორი მოქმედებდნენ შპს „რუსთავის ფოლადთან“ წინასწარი შეთანხმებით და მათ სს „ქართული ფოლადისთვის“ არახელსაყრელი გარიგებები დადეს;
- მიუთითებდნენ, რომ აქტივების ნასყიდობის გარიგება იყო მოჩვენებითი და აქტივების რეალური ღირებულება აღემატებოდა ხელშეკრულებაში მითითებულ თანხას;
- რეაბილიტაციის მიზნებიდან გამომდინარე, დაუშვებელი იყო საწარმოს აქტივების უდიდესი ნაწილის გასხვისება, ვინაიდან სს „ქართული ფოლადის“ დავალიანება კრედიტორთა წინაშე შეიძლება დაფარულიყო აქტივების სრულად რეალიზაციის გარეშეც.

ორივე საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ ლაშა ქოჩიაშვილის გადაწყვეტილებები ძალაში დატოვა. ხოლო, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქვედა ინსტანციის მიღებული გადაწყვეტილებები და ყურადღება გაამახვილა რამდენიმე საკითხზე:

- უზეანესმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მიზანი, პირველ რიგში, კრედიტორთა დაკმაყოფილება და მხოლოდ შემდეგ საწარმოს შენარჩუნებაა, და არა პირიქით, როგორც ამას ქვედა ინსტანცია განმარტავდა. რეაბილიტაციის გეგმიდან გამომდინარე, რეაბილიტაციის მმართველს შეეძლო, ნებისმიერ ეტაპზე სრულად ან ნაწილობრივ გაესხვისებინა სს „ქართული ფოლადის“ აქტივები იმ სავალდებულო პირობით, რომ ტრანზაქციის ღირებულება უზრუნველყოფდა რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას.
- უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ რეაბილიტაციის გეგმის საფუძველზე, რეაბილიტაციის პროცესის ერთ-ერთ შესაძლო შედეგს წარმოადგენდა საწარმოს აქტივების გასხვისება. ის გარემოება, რომ რეაბილიტაციის მიზნების მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა რეაბილიტაციის გეგმით გათვალიწინებული სხვა საშუალებებით და რომ ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნებოდა აქტივების სრულად რეალიზაციის გარეშეც, მოსარჩელეს სარწმუნო მტკიცებულებებით უნდა დაესაბუთებინა; ის კი მხოლოდ სიტყვიერი განმარტებით შემოიფარგლა, რომ აქტივები დაბალ ფასად გასხვისდა.
- უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ს.ს. „ქართული ფოლადის“ ყოფილი დირექტორი და რეაბილიტაციის მმართველი მოქმედებდნენ შპს „რუსთავის ფოლადთან“ წინასწარ შეთანხმებით, ასევე [მტკიცებულების არ არსებობის გამო] ვერ დადასტურდა მოსარჩელის პრეტენზია, რომ სს „ქართული ფოლადის“ აქტივები შპს „რუსთავის ფოლადზე“ საბაზრო

ღირებულებაზე დაბალ ფასად განზრახ გასხვისდა. შესაბამისად, ამ ნაწილში სარჩელი ვერ დასაბუთდა, ხოლო ქვედა ინსტანციების სასამართლოებმა არასწორად შეაფასეს აღნიშნული გარემოება.

- უზენაესმა სასამართლომ, ასევე აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ფასი მხარეთა შეთანხმების საგანია და არავინაა შეზღუდული, ხელშეკრულებაში მისთვის მისაღები ფასი მიუთითოს, თუნდაც იგი ამ ქონების საბაზრო ღირებულებას არ შეესაბამებოდეს.

უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებების შემდეგ ლაშა ქოჩიაშვილმა, იმავე დავის საგანზე, იმავე მოპასუხეების წინააღმდეგ განიხილა მესამე სარჩელი. ამ შემთხვევაში, მოსარჩელეს წარმოადგენდა, ქალბატონი ეთერ მთვრალაშვილი, რომელმაც 2014 წლის 26 დეკემბერს შპს „მეტაკომისგან“ შეიძინა მოთხოვნის უფლება და გახდა ს.ს. „ქართული ფოლადის“ კრედიტორი. მოთხოვნის უფლების შეძენიდან სამ დღეში, 2014 წლის 29 დეკემბერს, ეთერ მთვრალაშვილმა ახალი სარჩელი აღძრა აქტივების ნასყიდობის (წიდისა და უძრავ-მოძრავი ქონების ნასყიდობა) ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს მისი მოთხოვნის უფლების პროპორციული თანხის – 4553 ლარისა და 48 თეთრის მიღება წარმოადგენდა.

მოსარჩელე უთითებდა:

- სს „ქართული ფოლადის“ აქტივი სრულად გასხვისდა, რაც ეწინააღმდეგებოდა რეაბილიტაციის მიზნებს, მიმართული იყო კრედიტორთა ინტერესების საწინააღმდეგოდ და საფრთხეს უქმნიდა რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.
- მოსარჩელემ ასევე მოითხოვა უზრუნველყოფის ღონისძიების სახით შპს „რუსთვის ფოლადისთვის“ მის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვა.

შპს „რუსთავის ფოლადმა“ მოსამართლეს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე 4553 ლარისა და 48 თეთრის (რაც რეალურად იყო მოსარჩელის მოთხოვნის უფლების ღირებულების ტოლფასი) განთავსება შესთავაზა. ეს იქნებოდა სარჩელის ადეკვატური და პროპორციული უზრუნველყოფა. ამასთანა, ამ გზით სასამართლო არ შეაფერხებდა საწარმოს მუშაობას, სადაც 400-მდე ადამიანი იყო დასაქმებული.

მოსამართლემ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, შესაბამისად, დაკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და 4553 ლარსა და 48 თეთრის უზრუნველსაყოფად აკრძალვა დაედო ათეულობით მილიონი ღირებულების ქონებას. მოსამართლემ აღნიშნა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლით საფრთხე შეექმნებოდა სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას.

საბოლოოდ, 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით, მოსამართლემ (კანდიდატი) დააკმაყოფილა ეთერ მთვრალაშვილის სარჩელი და ბათილად ცნო სადავო ხელშეკრულებები, რომელთა კანონიერება უკვე ორჯერ იყო დადასტურებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, ზემოხსენებული გადაწყვეტილებებით.

საყურადღებოა ამ საქმის შემდგომი განვითარება.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის 03 აპრილს, იმდროინდელმა პრემიერ მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, ქვემო ქართლში ბიზნესმენებთან შეხვედრისას, მეტალურგიული ქარხნის დახურვა დივერსიულ გადაწყვეტილებად შეაფასა.[3]

---

[3] **„სასამართლოს გადაწყვეტილება „რუსთავის ფოლადის“ სასარგებლოდ პრემიერის განცხადების კვალზე“, ხელმისაწვდომია – https://netgazeti.ge/news/39947/ [უკანასკნელად შემოწმდა 17.09.2019].**

პრემიერმა აღნიშნა:

- **„აღმაშფოთებელია, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა არის დღეს დაყადაღებული. დაახლოებით 4 500 ლარის დავალიანების გამო, 120 მილიონი დოლარის ღირებულების საწარმო არის დაყადაღებული. ეს არის კატასტროფა, ეს არის პირდაპირ დივერსია. ამ საწარმოში არის დასაქმებული 2 500 ადგილობრივი მოსახლე და მე მინდა მივმართო იმ ადამიანს, ვინც ეს აბსოლუტურად გაუმართლებელი, მე ვიტყოდი, დივერსიული გადაწყვეტილება მიიღო. მას მოუწევს პასუხი აგოს როგორც მინიმუმ 2 500 კაცის ოჯახის წინაშე. მე იმედი მაქვს, რომ სასამართლოს ახალი თავმჯდომარე დაინტერესდება ამ საქმით იმიტომ, რომ მოსამართლე, რომელმაც მიიღო ეს გადაწყვეტილება, აუცილებლად უნდა წარდგეს, პირველ რიგში, საზოგადოების წინაშე და განმარტოს, თუ რატომ ახდენს ასეთ დივერსიულ გადაწყვეტილებებს“.**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ, 2015 წლის 06 აპრილს, პრემიერ მინისტრის განცხადებიდან სამ დღეში, სრულად გააუქმა ლაშა ქოჩიაშვილის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილება, ეთერ მთვრალაშვილის ნაცვლად, მოპასუხეთა სასარგებლოდ მიიღო. სავარაუდოდ, ამ საქმეს შემდგომი მსვლელობა უზენაეს სასამართლოში აღარ მისცემია.[4]

შენიშვნა: **ლაშა ქოჩაშვილის მიერ იმავე ხელშეკრულებების, იმავე მოპასუხეების მიმართ და იმავე საფუძვლებით ბათილად ცნობა, როდესაც უზენაესმა სასამართლომ ორჯერ უკვე დაადასტურა მათი კანონიერება (წინა ორ შემთხვევაშიც პირველ ინსტანციაში გადაწყვეტილება თავად ლაშა ქოჩიაშვილმა მიიღო), ბუნდოვანია და აჩენს კითხვის ნიშნებს მოსამართლის მიუკერძოებლობასა და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით. ასევე, ბუნდოვანია მოსამართლის გადაწყვეტილება 4553 ლარისა და 48 თეთრის საპირწონედ, მრავალმილიონიანი ქონების სრულად დაყადაღება, რამაც, ფაქტობრივად, საწარმოს ფუნქციონირება გაარჩერა. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე მზად იყო მოსარჩელის ინტერესის ადეკვატური თანხა გადაწვეტილების აღსრულებამდე დაერეზერვებინა. ასევე, ნიშანდობლივია საქართველოს პრემიერ მინისტრის განცხადებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში თანხვედრა.**

დავით ძოწენიძესა და შპს „აკას“ პარტნიორებს შორის არსებული დავა[5]

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ 2018 წლის ანგარიშში ასევე საუბარია ლაშა ქოჩიაშვილის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ე.წ. „მერსედეს-ბენცის“ საქმეზე.

ანგარიშის თანახმად:

ფაქტები: შპს „აკა“ „მერსედეს-ბენცის“ ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები იყვნენ: დავით ძოწენიძე, სალომე ასათიანი, მაკა ასათიანი, გოჩა ლელაძე და კახი ასათიანი, ხოლო დირექტორი – დავით ძოწენიძე. 1996 წლის 15 მარტს გამართულ პარტნიორთა კრებაზე დავით ძოწენიძე დირექტორის პოზიციიდან გაათავისუფლეს, მოგვიანებით კი 20%-იანი წილიც გაუუქმეს კომპანიაში. დავით ძოწენიძის განცხადებით, მან წილის დაკარგვის შესახებ 2008 წელს შეიტყო და საკუთრების უფლების აღდგენის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა.

მოსამართლე (კანდიდატი) ლაშა ქოჩიაშვილმა, დავა დავით ძოწენიძის სასარგებლოდ გადაწყვიტა და მას 20%-იან წილზე საკუთრების უფლება დაუბრუნა. გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა შემდეგმა ორმა ინსტანციამაც და 2012 წლის 28 თებერვალს ის კანონიერ ძალაში შევიდა.

---

[4] **იქვე.**

[5] **„კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, თბილისი, 2018, გვ. 65. ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2mdYwH7 [უკანასკნელად შემოწმდა – 16.09.2019].**

2016 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ ლუიზა თავართქილაძის (ლუიზა თავართქილაძე კახი ასათიანის მეუღლეა და შპს „აკაში“ წილები კახი ასათიანისაგან მისი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო), მაკა ასათიანის, სალომე ასათიანისა და შპს „აკას“ მიმართვის საფუძველზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, დავა განაახლა. საქმე კვლავ მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილმა განიხილა. მოსარჩელეებმა სასამართლოს 1996 წლის 15 მარტის #2 ოქმის დედანი წარუდგინეს, რომელშიც მითითებული იყო, რომ დავით ძოწენიძემ კომპანიის წილები თავისი ინიციატივით დათმო. საქმეზე ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო წარმოების განახლების შესახებ განჩინებაში მოსამართლემ მიუთითა:

- **„კრების ოქმის დედანი სასამართლოში საქმის განხილვის დროს რომ ყოფილიყო წარდგენილი, მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, გამოიწვევდა მოპასუხეებისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას“.**

საბოლოოდ, ამ დოკუმენტზე დაყრდნობით, ლაშა ქოჩიაშვილმა შეცვალა მის მიერვე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და დავით ძოწენიძეს 20%-იან წილზე საკუთრების უფლება კვლავ გაუუქმა.

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ ოქმის ასლი სასამართლოში 2008 წელს დაწყებულ დავაში წარდგენილი იყო. ეს დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება, სასამართლოს უკვე ჰქონდა პირველ დავაში შეფასებული. სასამართლო უთითებდა:

- **„მასზე [იგულისხმება 1996 წლის 15 მარტის #2 ოქმის ასლი] ხელმოწერები არ არის დამოწმებული ნოტარიული წესით, მასში გადმოცემული ფაქტები ეწინააღმდეგება როგორც აპელანტთა პოზიციას, ასევე მოვლენათა განვითარების ქრონოლოგიას, მისი შინაარსი ცნობილი გახდა მოსარჩელისთვის მხოლოდ დათარიღებიდან რამდენიმე წლის შემდეგ და მასზე დ. ძოწენიძის მიერ ჩაბარების გრაფა ცარიელია“.**

ბუნდოვანია მოსამართლის განსხვავებული პოზიცია ახალ გადაწყვეტილებაში მაშინ, როდესაც ახლად წარდგენილი დოკუმენტი ძველ საქმეში არსებულის იდენტური იყო. არც აღნიშნული, ე.წ. ოქმის დედანი ყოფილა ნოტარიულად დამოწმებული (იმ პერიოდში პარტნიორობიდან გასვლის შეთანხმების ნოტარიულად დამოწმება დოუმენტის ნამდვილობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა), ოქმი ასევე არ შეიცავდა თავად დავით ძოწენიძის ხელმოწერას, არადა, უდავო ფაქტობრივი გარემოება იყო, რომ კრებას დავით ძოწენიძე ესწრებოდა. ოქმში წარმოდგენილი ინფორმაცია კვლავ ეწინააღმდეგებოდა მოსარჩელეთა და მოწმეთა პოზიციებს.

ჯემალ ლეონიძის საქმე

მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის სახელი უკავშირდება ბიზნესმენ ჯემალ ლეონიძის საქმეს. კერძოდ, ჯემალ ლეონიძე იყო ავტოგასამართი სადგურების ქსელის, „მაგნატის“ მესაკუთრე.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით:[6]

- „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს, ბიზნესმენს ქონება ჩამოერთვა და დააპატიმრეს. ციხიდან პოლიტპატიმრის სტატუსით გამოვიდა და წართმეული ქონების დაბრუნებას ითხოვდა. მისი საქმე სამჯერ ერთსა და იმავე მოსამართლეს გადაეცა, რომელმაც 2012 წელს ჯემალ ლეონიძის ავტოგასამართი სადგურების ქსელ „მაგნატის“, როგორც სამეწარმეო სუბიექტის, საჯარო რეესტრიდან ამოშლის გადაწყვეტილება მიიღო. შემდგომში, ამავე მოსამართლემ „მაგნატის“ ყოფილ მფლობელს ქონების დაბრუნების მოთხოვნით სარჩელის განხილვაზე მორიგი უარი უთხრა“.

---

[6] **„კომერსანტისთვის“ კომერციული დავების მოსამართლეთა ვინაობა გახდა ცნობილი“, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2lUh2Em [უკანასკნელად შემოწმდა – 17.09.2019]**

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა. თუმცა, ფიქსირდება ერთი შემთხვევა: 2012 წელს, „ქართული ოცნების“ სათავო ოფისის შენობასთან დაკავშირებული საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების მოტივით ეკა ბესელიამ დისციპლინური საჩივარი შეიტანა ლაშა ქოჩიაშვილის და გიორგი ტყავაძის მიმართ.[1] საზოგადოებისთვის უცნობია, რა ბედი ეწია საჩივარს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

---

1 <?> „ქართული ოცნების“ ოფისთან დაკავშირებით დავის ხელოვნურ გაჭიანურებაში ადვოკატი მოსამართლეებს ადანაშაულებს, იხ. http://bit.ly/31p9xoz

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- 1999-2005 წლებში კანდიდატი ლაშა ქოჩიაშვილი მუშაობდა თერჯოლის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ, ხოლო 2005-2007 წლებში – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწედ.
- 2007-2010 წლებში ლაშა ქოჩიაშვილი საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე იყო, თუმცა ამ პერიოდში ხშირად ხდებოდა მისი მივლინება სხვადასხვა სასამართლოში, კერძოდ: ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (2007 წლის აპრილი-მაისი), ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (2007 წლის მაისი-დეკემბერი), ბორჯომის რაიონულ სასამართლოში (2007 წლის დეკემბერი – 2008 წლის აგვისტო, ასრულებდა თავმჯდომარის მოვალეობას), ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (2008 წლის აგვისტო - 2009 წლის ნოემბერი, ასრულებდა თავმჯდომარის მოვალეობას), თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (2009 წლის ნოემბერი – 2010 წლის აგვისტო).
- 2010-2017 წლებში ლაშა ქოჩიაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე იყო. 2017 წლის 25 მაისიდან კი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 3 წლის ვადითაა განწესებული.

- 2017 წელს ლაშა ქოჩიაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოში ახლად შექმნილი კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლედ დაინიშნა.[1]

2. მიღებული ჯილდო / სტიპენდია

- მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილს არ აქვს მიღებული ჯილდო/სტიპენდია.

[1] აღნიშნულთან დაკავშირებით სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ საბჭომ საკითხის სათანადოდ დამუშავებისა და ბიზნესსექტორის ჩართულობის გარეშე, ნაჩქარევად მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლოში კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შექმნის გადაწყვეტილება. ასევე, დაუდგენელი კრიტერიუმებით შეირჩა 4 მოსამართლე, რომელთა შორის იყო ლაშა ქოჩიაშვილიც, იხ. http://bit.ly/2lN0oX5

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- კანდიდატი ლაშა ქოჩიაშვილი ნასამართლევი არ ყოფილა.
- მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა ადმინისტრაციული სახდელი.
- სასამართლო დავებში კანდიდატი ლაშა ქოჩიაშვილი არ მონაწილეობდა მხარედ.

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- ლაშა ქოჩიაშვილი იყო იმ მოსამართლეთა შორის, რომლებმაც 2017 წელს დატოვეს „მოსამართლეთა ერთობა“, ასოციაციის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მისამართით გაკეთებული კრიტიკული განცხადების გამო, რომელიც ეხებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეების და სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნის პროცესს.[1] აღნიშნულთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა და „მოსამართლეთა ერთობის“ ყოფილმა აღმასრულებელმა დირექტორმა, ნაზი ჯანეზაშვილმა განაცხადა, რომ ქოჩიაშვილმა „მოსამართლეთა ერთობა“ დატოვა 2017 წლის 31 მაისს, მას შემდეგ, რაც ცოტა ხნით ადრე – 2017 წლის 11 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.[2]
- ლაშა ქოჩიაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოში იხილავს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის 9%-იანი წილის მფლობელის, ნინო ნიჟარაძის სარჩელს, კომპანიის ყოფილი გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას და სხვა მფლობელების წინააღმდეგ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ „დავას იხილავს მოსამართლე ქოჩიაშვილი, რომელიც არის ამ ქვეყნისთვის კარგად ცნობილი სამოსამართლეო კლანის წევრი და სრულიად გასაგებია, რა გადაწყვეტილებაც იქნება გამოტანილი“,[3]ასევე, მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილი იხილავდა 2016 წელს „სტუდია მაესტროს“ გადახდისუუნარობასა და ლოგოსთან დაკავშირებულ დავებს.[4]

[1] „მოსამართლეთა ერთობა“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გაკრიტიკების გამო 8 მოსამართლემ დატოვა, იხ. http://bit.ly/2kDd2aX
[2] რა ვიცით რ2-ის ახალი საქმის მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილზე, იხ. http://bit.ly/2kdhbT2
[3] იქვე.
[4] „კომერსანტისთვის“ კომერციული დავების მოსამართლეთა ვინაობა გახდა ცნობილი იხ. http://bit.ly/2m2HVpD

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

კანდიდატ ლაშა ქოჩიაშვილის პერსონალური ანგარიში რეგისტრირებულია სოციალურ ქსელ „Facebook"-ზე, თუმცა იგი არ აფიქსირებს საჯარო მოსაზრებებს მის გვერდზე.

2. ლაშა ქოჩიაშვილის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები

2017 წლის 30 მაისს ასოციაცია „საქართველოს მოსამართლეთა ერთობა" გამოეხმაურა იუსტიციის საბჭოს მიერ მოსამართლეთა და სასამართლოს თავმჯდომარეთა დანიშვნის პროცესს. ორგანიზაცია მიიჩნევდა, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ამ ჯერზეც ვერ გადადგა ნაბიჯებისაზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად. მათი განცხადებით, **„სიახლე არ არის, რომ მოქმედი საბჭოს საკადრო პოლიტიკა მიმართული იყო განსხვავებული აზრის ღიად დამფიქსირებელი მოსამართლეების განდევნისა და სისტემაში უკონკურენტო გარემოს შენარჩუნებისკენ".**[1]

ასოციაციის განცხადების შემდგომ, კანდიდატმა ლაშა ქოჩიაშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სხვა შვიდ მოსამართლესთან ერთად, აღნიშნული ასოციაცია შემდეგი განცხადებით დატოვა: **„2017 წლის 30 მაისს, ასოციაცია „მოსამართლეთა ერთობის" მიერ გამოქვეყნებულ განცხადებას არ ვეთანხმებით: განცხადება გაკეთებულია ჩვენთან შეთანხმების გარეშე, აღნიშნული ფორმით განცხადების გაკეთება ჩვენთვის, როგორც ასოციაციის წევრებისათვის მიუღებელია, რამდენადაც მსგავსი განცხადებები შეთანხმებული უნდა იყოს ასოციაციის წევრებთან და არ უნდა გამოხატავდეს მხოლოდ გარკვეული პირების პოზიციას, რასაც წარსულშიც არაერთხელ ჰქონდა ადგილი. მიგვაჩნია, რომ ასოციაციის სახელით განცხადების გაკეთება უნდა ემსახურებოდეს მოსამართლეთა კორპუსის გაერთიანებას და გაჯანსაღებას და არ უნდა იყოს მიმართული კოლეგების დამცირებისა და შეურაცხყოფისაკენ, რის გამოც ვტოვებთ ასოციაციას".**[2]

3. კანდიდატ ლაშა ქოჩიაშვილის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში[3]

საბჭოს წევრის, ირმა გელაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, შვილი ვალდებულია არჩინოს შრომისუუნარო მშობელი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, მაგრამ ამ ვალდებულებისგან თავისუფლდება თუ მშობელი არ არჩენდა თავის დროზე შვილს. როგორ ფიქრობთ, მოსამართლე, რომელიც კანონით მინიჭებული ამ შესაძლებლობით სარგებლობს, ანუ არ არჩენს მშობელს, რომელსაც დახმარება სჭირდება, სამოსამართლო ეთიკას არღვევს თუ არა?"**

მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის პასუხი: **კი.**

---

1 „რვა მოსამართლე „მოსამართლეთა ერთობას" ტოვებს" 2017 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია https://bit.ly/2mdxbov

2 იქვე.

3 კანდიდათან გასაუბრებას არ ესწრებოდნენ საბჭოს არამოსამართლე წევრები ნაზი ჯანეზაშვილი და ანა დოლიძე.

ზემოაღნიშნული შეკითხვის შემდეგ ირმა გელაშვილმა კანდიდატს დამატებით ჰკითხა: **„რომელ პრინციპს? ერთი მხრივ, ეს არის კანონით გათვალისწინებული უფლება და შესაძლებლობა, რომ თუ მშობელი თავის დროზე არ იღებდა მონაწილეობას ბავშვის აღზრდაში, შემდგომში ბავშვმაც, უკვე ზრდასრულზე არის საუბარი, აღარ მიიღოს მონაწილეობა მშობლის რჩენაში, მეორე მხრივ, შეიძლება თუ არა კანონით მინიჭებული შესაძლებლობა იყოს ეთიკის დარღვევა?“**

მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის პასუხი:

> **ჩვენ მოსამართლის ქცევის წესები გვაქვს ჩამოყალიბებული. მოსამართლის ქცევა უნდა იყოს სამაგალითო ნებისმიერი მხარისთვის, ეს სასამართლოს შიგნით იქნება, სხდომაზე, თუ სასამართლოს გარეთ, სხვადასხვა პრინციპი გვაქვს. ამ პრინციპის დაცვის, ზოგადად, მიმაჩნია, რომ მოსამართლე არღვევს, არასწორ მაგალითს აძლევს საზოგადოებას, ასე რომ ვთქვათ“.**

საბჭოს წევრის, ლევან გზირიშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ქორწინებასთან დაკავშირებით ხომ არ თვლით რამეს დისკრიმინაციულად?“**

მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის პასუხი:

> **არ ვთვლი, რომ რამე დისკრიმინაცია არის“.**

ლევან გზირიშვილმა კანდიდატს დამატებით ჰკითხა: **„სტრასბურგის პრაქტიკა თუ იცით ამასთან დაკავშირებით?“**

მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის პასუხი:

> **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშიც მითითებულია ქორწინების შესახებ ქალსა და მამაკაცთან დაკავშირებით, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციაშიც ქალისა და მამაკაცის უფლებასთან დაკავშირებით არის მითითებული. ზოგადად, ქორწინების, ასე ვთქვათ, დეფინიცია და ტერმინი ისტორიულად და ტრადიციულად მოიაზრებდა ამას. კონსტიტუციაში რომც არ ჩაწერილიყო ქალსა და მამაკაცს შორის ქორწინების დასაშვებობა, სამოქალაქო კოდექსი ამას ითვალისწინებდა“.**

საბჭოს წევრის, ზაზა ხარებავას შეკითხვა კანდიდატს: **„რას გულისხმობს სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი? ჩარევის საფუძვლები რომ უნდა იყოს სამართლებრივად...“**

მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის პასუხი:

> **კანონით გათვალისწინებული უნდა იყოს უფლებაში ჩარევა და მიზნის მიღწევა ლეგიტიმური უნდა იყოს“.**[4]

საბჭოს წევრის, სერგო მეთოფიშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„რას ნიშნავს თქვენთვის გადაწყვეტილება უნდა იყოს სამართლიანი და კანონიერი? ასევე გეტყვით, რომ ეს საკითხი მწვავედ უფრო სისხლის სამართლის საქმეებში დგას, თუმცა სამოქალაქო სამართლის კუთხითაც მეც და სხვა მოსამართ-**

---

[4] აღსანიშნავია, რომ კითხვაში დასახელებული განსაზღვრულობის პრინციპი გულისხმობს შემდეგ მოთხოვნას: „კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, წინასწარ განჭვრეტადი და ზუსტად განსაზღვრული, აგრეთვე სხვა გარანტიებს თვითნებობის რისკისგან დასაცავად. ნორმა, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა ემყარება, საკმარისად ზუსტი უნდა იყოს, რათა პირმა, თუნდაც სათანადო კონსულტაციით წინასწარ განჭვრიტოს იმ ხარისხით, რომელიც მოცემულ გარემოებებს შეესაბამება, თუ რა შედეგი მოჰყვება ამა თუ იმ ქმედებას“. – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #1/3/393,397 „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ლეებსაც ალბათ გვიჩნდება ეჭვი კონკრეტული გადაწყვეტილებების სამართლიანობასთან დაკავშირებით. [...] სისხლის სამართალში უფრო ხშირია, თუმცა სამოქალაქო სამართალშიც არის შემთხვევები, როდესაც ვერ მიმართავ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით. კანონი ხომ უნდა იყოს სამართლიანი, თუ გქონიათ ასეთი შემთხვევა და როგორ იქცევით? აი, მაგალითად, სამოქალაქო კუთხით, გეტყვით მაგალითს – იხილავთ საქმეს, სადაც ერთ მხარეს კვალიფიციური იურისტია, ბანკის წარმომადგენელი, ხოლო მეორე მხარეს – ჩვეულებრივი პირი, რომელსაც ბანკის ვალის გადახდის საშუალება არ აქვს და რა წარმომადგენელზეა საუბარი. ხედავთ, რომ უბრალოდ არ იცის ამ მოქალაქემ, რომ ბანკის მოთხოვნა ხანდაზმულია. ამ დროს თუ არ გვაქვს შუამდგომლობა... თქვენ ამას ხედავთ. დანამდვილებით არ იცით, მაგრამ გრჩებათ შეგრძნება, რომ არ იცის. ამავდროულად შეჯრიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპია. თუ ეტყვით, გამოდის, რომ ეხმარებით, რაც, რა თქმა უნდა, დიდი დარღვევაა. მაგალითად მოვიყვანე ეს. ასეთი მაგალითები კიდევ არის. თუ გქონიათ ასეთი შემთხვევა პრაქტიკაში? თუ არ გქონიათ, იმ შემთხვევაში, თუ გექნებათ, როგორ მოიქცევით?“

მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის პასუხი:

გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არის სამართლიანი. ასეთი შემთხვევა ბევრი ყოფილა. პირიქითაც ყოფილა. ბანკის წარმომადგენელს უთქვამს, „რაღა დროს ამისი მოთხოვნაა“ და ჩავთვალე ხანდაზმულად. გამისაჩივრეს და ზემდგომმა სასამართლომაც დატოვა ეს გადაწყვეტილება ძალაში. მართალია, მან პროცესუალური სიტყვა „ხანდაზმულობა“ არ იცოდა, თუმცა გამოხატა ეს სხვა სიტყვებით. ჩავთვალე, რომ ეს იყო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით მითითებული. ასეთ შემთხვევაში, მოკლებული ვართ შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეჯიბრებითობის პრინციპს დავარღვევთ. მხარე მთავარ სხდომამდეა ვალდებული ხანდაზმულობის შესახებ მიუთითოს. პირიქითაც ყოფილა, მეორე მხარემ, პროცესის არმცოდნემ, 2016 წლის სესხზე არ განაცხადა, რომ ხანდაზმულიაო, თუმცა, 2017 წლის სესხზე განახადა, ხანდაზმულიაო. [...] თითოეული ჩემი კოლეგაც და მეც ფაქტობრივი გარემოებებიდან ვაფასებთ, სად არის სიმართლე და ამის შედეგად ვუსადაგებთ ნორმებს და განვმარტავთ მათ. თუმცა, თუ შესაბამისი ნორმა არ გვაქვს, კანონიერი გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული. ყოფილა შემთხვევა, როცა ექსპერტიზის დასკვნაც არ გავიზიარე. საცხოვრებელ სადგომთან დაკავშირებით იყო დავა. არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სარჩელი არ დავაკმაყოფილე, შეუძლებელია დადებულიყო ამგვარი გარიგება იმ პირობებში“.

ლევან გზირიშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„რა ცვლილებებია, რითი განსხვავდება ახალი კონსტიტუცია წინისაგან? შეიცვალა თუ არა ქვეყნის მართვის მოდელი, ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი და სხვ.?“**

მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის პასუხი:

კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებზე მოგახსენებთ, რომ ორგანული კანონის რანგში ავიდა სახელმწიფო ენასთან დაკავშირებული საკითხი. სახელმწიფომ ყურადღება გაამახვილა, რომ სოციალურ სახელმწიფოს წარმოადგენს და იცავს თითოეული პირის უფლებებს, ნორმალური საცხოვრებელ პირობებით, სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით. არჩევნებს რაც შეეხება პროპორციული სისტემით ხდება, მოხდება პარლამენტს დაკომპლექტება...“

საბჭოს წევრის, შოთა ქადაგიძის შეკითხვა კანდიდატს: **„თქვენი აზრით, რა მიზნით არის კანონმდებლის მიერ დადგენილი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადება საქართველოს სახელით?“**

კანდიდატის პასუხი:

საქართველოს სახელით გადაწყვეტილების გამოცხადება, ნიშნავს რომ... მოსამართლის გადაწყვეტილება, სასამართლოს გადაწყვეტილება, უფრო სწორად, სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა დაწესებულების, ორგანიზაციის, მხარეების და დატვირთვა აქვს, ასე რომ ვთქვათ...სავალდებულოა მთელ ტერიტორიაზე ყველასთვის“.

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)

2013
ავტომანქანა
HUNDAY TUCSON
17 430 ₾



2. ფინანსები

მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილისა და მისი მეუღლის სახელზე უძრავი ქონება არ ფიქსირდება. კანდიდატი თერჯოლაშია რეგისტრირებული, ხოლო მისი მეუღლის იურიდიული მისამართი ქალაქ თბილისში, ფიქრია კამლაძის (დედა) საკუთრებაში არსებულ სახლში ფიქსირდება. 2010-2018 წლებში, კანდიდატმა, თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოსამართლო საქმიანობიდან, სამუშაო ანაზღაურების სახით 526,542 ლარი მიიღო. ხოლო, ყველაზე მაღალი შემოსავალი 2015-2016 წელს უფიქსირდება, 74,418 ლარის ოდენობით.

კანდიდატის მეუღლე ანა ხიჯაკიძე ექიმი-სტომატოლოგია და 2017-2018 წლებში შპს „ტასო-დენტ-ში“ მუშაობდა, საიდანაც დეკლარაციის თანახმად, მისმა ჯამურმა შემოსავალმა მხოლოდ 535 ლარი შეადგინა.

2019 წლის მდგომარეობით, მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილს მიმდინარე სესხი აქვს “საქართველოს ბანკში“, ჯამში 19, 000 აშშ დოლარის მოცულობით.

- **მოსამართლის მეუღლის დედამ, ფიქრია კამლაძემ, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს 5000 ლარი შეწირა.**
- **კანდიდატის მეუღლის მამა შმაგი ხიჯაკიძე (ა)იპ „ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“ დირექტორია. 2019 წლის ბიუჯეტის მიხედვით, ხარაგაულის საკრებულომ ბიუჯეტიდან 132,600 ლარი გამოუყო (ა)იპ – ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამის ფარგლებში.**
- **მოსამართლის მიერ შევსებული დეკლარაციებიდან ირკვევა, რომ კანდიდატი ხშირად იღებდა და იღებს სესხს რესპუბლიკა ბანკში და საქართველოს ბანკში, თუმცა, ყოველთვის არ ასახავს სესხის მომსახურების ხარჯებს.**
- **2012 წელს მოსამართლის ჯამურმა შემოსავალმა 49,355 ლარი შეადგინა, თუმცა ამავე წელს კანდიდატი ფარავს ორ 15,000 აშშ დოლარის ღირებულების სესხს, რამაც ჯამში 38,709 ლარის ხარჯი შეადგინა. აშკარაა რომ, სესხის დაფარვის შემდეგ დარჩენილი თანხა, 10,645 ლარი, მიზერული თანხაა იმისათვის რომ მოსამართლის ოჯახს მთელი წლის განმავლობაში ჰყოფნოდა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2013 წელს დეკლარაციის შევსების დროს, მიუხედავად დიდი ხარჯებისა, მოსამართლემ შეეძლო დანაზოგის სახით 2,687 ლარის მობილიზება.**

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჟონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს, თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ